ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.34/10/151

ქ. თბილისი **20 დეკემბერი 2023 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გამგებლის კახა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ა2“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მარიტა შახბაზიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I-ლი „ს“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯმდომარის 2023 წლის 13 აპრილის ბრძანება №40) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების ობიექტი და შესყიდვის საშუალება

2.1 ხელშეკრულების საგანია – საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონამდე 20 კუბ/მ თვითმცლელი ა/მ ტრანსპორტირება.

2.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 60181000 - სატვირთო მანქანების დაქირავება მძღოლთან ერთად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300.00 (სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარი;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომელ(ებ)ი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და საგარანტიო ვადები

6.1 მომსახურების (საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონამდე 20 კუბ/მ თვითმცლელი ა/მ ტრანსპორტირების მომსახურება) მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 25 დეკემბრისა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მოსკოვის გამზირი №14 - თბილისის შემოვლითი გზის მე-15 კილომეტრის მიმართულებით - ნარჩენების პოლიგონი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის მონიტორინგი;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების დაკისრების გაცნობიდან 1 თვის განმავლობაში.

8.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს **2024 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სამგორის რაიონის გამგეობა
მის.: ქ. თბილისი,
მოსკოვის გამზირი №14

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი: TRESGE22
საიდენტ. კოდი: 206 351 598
ტელ.: 237 31 00

გამგებლი:

_____ **კახა ხამხარაძე**

მიმწოდებელი:

შპს „ა2“
მის.: ქ. ბათუმი
მ. ლერმონტოვის ქ. №125, ბ. 64

სს „ლიბერთი ბანკი“
ა/ა GE83LB0113160011752000
კოდი: LBRTGE22

საიდენტ. კოდი: 445 581 656

დირექტორი:

_____ **მარიტა შახბაზიანი**

ინვოისი

მყიდველი:

დასახლება:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა
ს/კ 206351598
ბანკის დასახელება: 0
ანგ N: 0

თარიღი: 14.11.2023
ინვოისის #001
გადახდის პირობა: უნაღდო
ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი

დასახელება	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი** (ლარი)	**სრული ფასი** (ლარი)
საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონამდე 20 კუბ/მ თვითმცლელი ა/მ ტრანსპორტირება	სვლა-გეზი	1	300	300
	სულ თანხა:			**300**

კომპანიის დასახელება:
შპს ,,ა2''
ს/კ: 445581656
ბანკის დასახელება: სს ლიბერტი ბანკი
ბანკის ლოდი: LBRTGE22
ანგ.ნომერი: GE83LB0113160011752000

Marita Shakhbazyan 61002019730

Digitally signed by Marita Shakhbazyan
Date: 2023.12.20 14:19:11